შპს „სანიტარი“-ს თევზსაშენი ტბორის სკრინინგის ანგარიში

ანგარიში მოამზადა შპს „სანიტარის“ გარემოსდაცვითმა მენეჯერმა გიორგი ბარძიმაშვილმა

აღნიშულ პროექტს ახორციელებს შპს „სანიტარი“

სარჩევი

სარჩევი

საკონტაქტო ინფორმაცია 3
1.პროექტის აღწერა 4
1.1. ზოგადი მიმოხილვა 4
2. პროექტის და საპროექტო ტერიტორიის აღწერა 6
2.1. კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები 6
2.2. გეომორფოლოგია და ზოგადი გეოლოგიური პირობები 7
2.3. სეისმური პირობები 8
2.4. საგზაო ინფრასტრუქტურა 9
2.5. თევზსაშენის განთავსების წინასწარი სქემა 9
2.6. თევზსაშენის ელექტრო ენერგიით მომარაგება 9
3. გარემოს კომპონენტების აღწერა 10
3.1. ჰიდროგეოლოგიური პირობები 10
3.2. ბუნებრივი რესურსები 11
3.3. ნიადაგები და ძირითადი ლანდშაფტები 11
4. რისკები, ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები 12
4.1. მგრძნობიარე ადგილები და საშიშროებები 12
4.3. ისტორიულ-კულტურული ძეგლები 12
4.4 ხმაურის შეფასება 13
4.5. ვიზუალურ-ლანდშაფტური შეფასება 13
4.6. ნარჩენების მართვა 13
4.7. ტრანსსასაზღვრო დაბინძურება 13
საქმიანობის სპეციფიკიდან, მასშტაბიდან და ადგილმდებაერობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. 13
4.8 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 14
4.9 ტბორის ტოპო-გეგმა 16

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	
კომპანიის დასახელება	შპს „სანიტარი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	გამარჯვების გზატკეცილი #4
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი აღთაკლია
საქმიანობის სახე	თევზსაშენი ტბორი
საიდენტიფიკაციო კოდი	204927240
ელექტრონული ფოსტა	hse@sanitary.ge
საკონტაქტო პირი	გიორგი ბარძიმაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	598 300 543

1.პროექტის აღწერა

1.1. ზოგადი მიმოხილვა

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სანიტარი“ გეგმავს 30 ტონა წლიური წარმადობის კარპი, სქელშუბლა და საზანის მეურნეობის შექმნას აკვაკულტურის სისტემის გამოყენებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ აღთაკლიაში (ს/კ 81.06.26.664). ამისთვის მოწყობილი იქნება თევზსაშენი ტბორი, რომლის წყლის მოცულობა აღემატება 10 000 მ3 და დაახლოებით წყლის მოცულობა შედგენს 45 000 $მ^3$-ს.

საქართველოს კანონის „გარემოსდცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 9 პუქნტის, 9.9 ქვეპუნქტის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოაგდოება „სანიტარი“ - ის მიერ კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000$მ^3$-ზე მეტია ექვემდებარება სკრინინგს. სანიტარი გეგმავს მოცემულ ტბორში 30 ტონა წლიური წარმადობის მეურნეობის შექმნასთას, რომლის ჯამური წყლის მოცულობა აღემატება 10 000 მ3-ს და დაახლოებით შეადგენს 45 000 $მ^3$-ს. წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და ველოდებით თქვენს გადაწყვეტილებას.

შპს „სანიტარი“ გეგმავს კარპის, სქელშბლას და საზანის ფერმის მოწყობას გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ აღტაკლიაში. მეურნეობა განთავსდება დაახლოებით დაახლოებით 2 ჰექტარზე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას.

ტბორზე აღებული კორდინატებია:

X	Y
500964727	4604147569
501023390	4604205770
500892297	4604243244
500887510	4604302898
500998839	4604324858

თევზსაშენ ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობს კომპანია სანიტარის სახიფათო ნარჩენების მართვის ტერიტორია დაახლოებით 350 მ-ში და გაჯის საწარმო 250 მეტრში. ტრადიციული ღია სისტემით მოხდება თევზსაშენი ტბორის მოწყობა. მელიორაციის სისტემიდან მილით შევა წყალი და გაივლის ამ ტბორს და ისევ დაუბრუნდება მელიორაცის სისტემას, რომელიც შემდგომში ჩავა მელიორაციის არხით მდინარე მტკვარში, როგორ წყლის მიწოდება, ასევე მისი დაბრუნება არხში შეადგენს თვეში 2000 კბმ-ს. თევზსაშენ მეურნეობას ეყოლება ისეთი სახეობები ტბორში, როგორიცაა **კარპი, სქელშუბლა** და **საზანი.**

ტბორის ზედაპირული ფართობი უდრის 15 922,83 $მ^2$.

თევზსაშენი ტბორის წყლისგან დაცლის შემთხვევაში წყლის ჩადინება მოხდება სამელორაციო არხში ჩადინება სადრენაჟე ქსელის გავლით , რის შედეგადაც გამოირიცხება მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლის ობიექტზე, ასევე გრუნტზე უარყოფითი ზემოქმდება.

სარწყავი არხის გამშვებთან დამცავი ფილტრის მოწყობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული თევზის მიგრაცია.

2. პროექტის და საპროექტო ტერიტორიის აღწერა

საპროექტო ტერიტორია ადმინისტრაციულად მიეკუთვნება სოფელ აღთაკლიას, რომელიც, თავის მხრივ, გარდაბნის რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს.

აღთაკლია - სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს გარდაბნის ვაკეზე, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს. ზღვის დონიდან 400 მ, გარდაბნიდან დაშორებულია 12 კმით.

საპროექტი ტერიტორიისგან მოშორებით მდებარეობს დაახლოებით 250 მეტრში გაჯის საწარმო, დაახლოებით 350 მეტრში კომპანია სანიტარის სახიფათო ნარჩენების მართვის ობიექტი.

2.1. კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. ბარში ზომიერად თბილი ველის ჰავაა, ცხელი ზაფხულით, მთაში კი ზომიერად ნოტიო ჰავაა, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა 13 °C-იდან 6 °C-მდე მერყეობს ზონალობის მიხედვით. წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის საშუალო ტემპერატურა 0,3 °C-იდან-5 °C-მდეა, ხოლო ყველაზე თბილი თვის, ივლისის 25 °C-იდან 11 °C-მდე. ნალექების საშუალო წლიური მოცულობა 420 მმ-მდეა. გარდაბნის ვაკეზე მშრალი სუბტროპიკული ჰავაა, საშუალო წლიური ტემპერატურაა 12,9 °C, ნალექები 422 მმ წელიწადში.

სურათი 1 - საქართველოს კლიმატური რუკა



2.2. გეომორფოლოგია და ზოგადი გეოლოგიური პირობები

გარდაბნის მუნიციპალიტეტს სამხრეთით: ესაზღვრება აზერბაიჯანი, ჩრდილოეთით მცხეთის და თბილისის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით საგარეჯოს, დასავლეთით თეთრი წყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტები. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ფართობია შეადგენს 1304,1 კმ².

სურათი 2 - საქართველოს გეოლოგიური რუკა



2.3. სეისმური პირობები

სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01. 01-09) №1 დანართის მიხედვით პროექტის განხორციელების ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან (MSK 64 სკალა) სეისმურ ზონაში, რომლის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A, უახლოესი დასახლებული პუნქტისათვის (სოფ. ახალი სამგორისთვის)შეადგენს 0,13-ს.

სურათი 3 - სეისმური საშიშროების რუკა



2.4. საგზაო ინფრასტრუქტურა

ქვემო ქართლის რეგიონში არსებობს საკმაოდ კარგად განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა. რეგიონში გადის რუსთავის ავტომაგისტრალი. განახლებული საავტომობილო გზით უკავშირდება ქვეყნის დედაქალაქს და მგზავრობის ხანგრძლივობა ნახევარ საათს უტოლდება. ასევე, მოწესრიგებულია იმ შიდა გზების უმრავლესობა, რომლებიც რეგიონის ძირითად ქალაქებსა და სოფლებს აკავშირებს.

საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა, სადღაც დაახლოებით 5 კილომეტრი გზის მონაკვეთი ძირითადად დაფარულია ქვიშა- ღორღოვანი ნარევის საფარით, რომელის კარგად არის დამუშავებული და არა მარტო მძიმე გამავლობის, არამედ მსუბუქი გამავლობის ავტომანქანებისთვისაც არ არის პრობლემის გამომწვევი.

სანიტარის თევზსაშენთან მისასვლელად ერთი მისასვლელი გზა არის, რომელიც დაკავშირებულია ქალაქ რუსთავიდან. ამ მიმართულებით შესაძლეებლია საპროექტი ტერიტორიაზე მოხვედრა.

2.5. თევზსაშენის განთავსების წინასწარი სქემა

წინასწარი ინფორმაციით, თევზსაშენი განთავსდება შპს „სანიტარი“-ს მიწის ნაკვეთზე, ხოლო მომავალში იგეგმება მოეწყოს 1 საყარაულე ობიექტი, რომელიც ზედამხეველობას მაოხდენს თევზსაშენის.

საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლებს, ობიექტზე მოეწყობა საპირფარეშო, რომლისთვისაც მოხდება საკანალიზაციო ჭის მოწყობა და გატანა ასენიზაციის ავტმობილით გარდაბნის გამწმენდ ნაგებობაში. მათთან ხელშეკრულება გაფორმებულია და იქნება კანონმდებლობით ყველა ნორმა დაცულია და თუ საჭიროა ამ წყლის გწმენდა, მანამ მოხდება გამწმენდ ნაგებობაში მიტანა.

2.6. თევზსაშენის ელექტრო ენერგიით მომარაგება

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ენერგო პრო ჯორჯია“-სთან ვთანამშრომლობთ და ელექტრო ენერგიის მომარაგება მოხდება მათგან. დარეგისტრირებული ვართ როგორც აბონენტად და შესაბამისად მოხდება თანხის გადახდა ქვითრის საფუძველზე.

3. გარემოს კომპონენტების აღწერა

3.1. ჰიდროგეოლოგიური პირობები

გარდაბანის მუნიციპალიტეტის საზღვართან ჩამოედინება მდინარე მტკვარი, ხოლო ტერიტორიის შიდა ნაწილში ძირითადად პერიოდული ხასიათის მდინარეები გვხვდება, ესენია: ლოჭინი, არხაშენი, ნაგუბი, ხევძმარი, ორხევი, ნავთისხევი და სხვა. ჩრდილოეთში აღსანიშნავია მდინარე ლოჭინი (სიგრძე 30 კმ), რომელიც იქმნება ნორიოსხევისა და მარტყოფისხევის შეერთებით. სათავე აქვს იალნოს ქედის სამხრეთ კალთაზე ზღვის დონიდან 1085 მ-ზე. საზრდოობს თოვლით, წვიმით და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა კი ზამთარში. იგი მდინარე მტკვრის შენაკადია. გამოყენებულია სარწყავად.

მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ასევე მდინარე არხაშენი, რომელიც სათავეს იღებს ამავე სახელწოდების ქედზე და ჩაედინება ჯანდარის ტბაში. აღსანიშნავია ასევე პერიოდული ხასიათის მდინარე ნაგუბი, რომელიც კუმისის ტაფობში მდებარეობს. სხვა პერიოდული მდინარეებიდან მნიშვნელოვანია ხევძმარი, ორხევი და ნავთისხევი.

იაღლუჯის მაღლობსა და წალასყურის ვაკეს შორის მდებარეობს კუმისის ტბა. საზრდოობს წვიმის წყლითა და მცირე ნაკადულებით. მტკვრის მარცხენა მხარეს საკმაოდ მოზრდილ ტაფობში მდებარეობს ჯანდარის ტბა, რომელიც თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და 50 კმ-ით არის მოშორებული ქალაქს. ტბის ნაპირები თხელია, მერე თანდათან ეშვება შიგნით და შუაგულში სიღრმე 8 მ-ს აღწევს. სანაპიროები დაფარულია ხშირი ლელითა და ლერწმით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთს ასევე სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრალური სარწყავი არხები.

3.2. ბუნებრივი რესურსები

ტერიტორიის 15 % ტყესა და ბუჩქნარს უკავია. უდიდესი ნაწილი შემოსილია ურეოიან-ვაციწვერიანი და ჯაგ-ეკლიანი სტეპებით, უფრო მცირე ფართობი უჭირავს ჭალის ტყეებს, ხოლო კიდევ უფრო მცირე ჰემიქსელურ მეჩხერ ტყეებს.

აქ ფართოდაა შვრიელა და თივაქასრა. კუმისის ტაფობში ხარობს ხურხუმო, ჩოღანო, მხოხავი ჯანგა, ხვარხვარა, ავშანი, შორაქანი, ჩარანი და ყარღანი. მთისწინეთში ძირითადად გვხვდება შავჯაგა, გრაკლა, ღვია, კუნელი, ძეძვი და კვრინჩხი. ტერიტორიის ერთი ნაწილი ტყეებს უჭირავს. ტყეები შემორჩენილია ლილოსა და საცხენისის მიდამოებში, მდინარე საცხენისის გაყოლებით სოფელ ახალსოფლამდე არის გამეჩხრებული ტყეები, რომელშიც მუხნარია გაბატონებული. ქვეტყეში იზრდება ჭყორი და ჭანჭყატი.

გარდაბნის ვაკეზე გაბატონებულია მშრალი ველისა და ნახევარუდაბნოს ასოციაციები. გვხვდება ურეოიანი და ავშნიან-ურეოიანი ველები. სამგორის ვაკეზე უმეტესად გავრცელებულია შიბლიაკი.

მთაწმინდის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, თელეთის ქედის ფერდობებზე, თაბორის ქედსა და სხვაგან ვხვდებით კლდეთა ქსეროფიტებს, რომელშიაც სხვა სახეობებთან ერთად ბევრია გლერძი. დაახლოებით სოფელ აღთაქლიდან მდინარე ხრამის შესართავამდე 25 კმ-ზე მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე ჩამოყალიბებულია ჭალის ანუ ტუგაის ტყე. ტბებისპირა ნაწილებში არის ჭაობის მცენარეულობა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია წარსულში როგორც ტყის, ისე ველის ცხოველებით მდიდარი იყო. ამჟამად კი ზოგიერთი წარმომადგენელია შემორჩენილი. შესაბამისად ტყის ფაუნა ღარიბია. გარდაბნის ვაკეზე დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული ქურციკი. ტყეში მგელი, მელა, კურდღელი, ზღარბი, მაჩვი, ლელიანის კატა, ორნითოფაუნას ქმნის გნოლი, შაშვი, ხოხობი, კაკაბი, ოფოფი, ქორი, წიწკანა და სხვ.

ქვეწარმავლებიდან გავრცელებულია ველის მახრჩობელა, ჯოჯო, კუ და ხვლიკი. ტბები მდიდარია თევზით. მოიპოვება კობრი, სქელშუბლა, თეთრი ამური, ჭანარი, გამბუზია და ა.შ. მდინარე მტკვარში არის ციმორი, ლოქო, შამაია, წვერა, კობრი და ხრამული.

3.3. ნიადაგები და ძირითადი ლანდშაფტები

გარდაბნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წაბლა ნიადაგი. ტაფობებში გვხვდება დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგი, მდინარე მტკვრის გასწვრივ კი არის ალუვიური ნიადაგები.

სამგორის ვაკეზე ჭარბობს რუხი ყავისფერი ნიადაგები. განვითარებულია ასევე შავმიწისებრი და ბიცობიანი ნიადაგები. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთისწინეთებში ტყის ყავისფერი და მდელოს ყავისფერი ნიადაგებია. ქედების თხემები და მწვერვალები მეორეული მთის მდელოს ნიადაგებს უჭირავს. ტბისპირა ზოლში გვხვდება ჭაობისა და მლაშობის ნიადაგები.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფა ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

1. ტერასული ვაკე ჯაგ-ეკლიანი ვაციწვერიან ურეოიანი და ავშნიან ნაირბალახოვანი მცენარეულობით წაბლა, ყავისფერ, დამლაშებულ და გაჯიან ნიადაგებზე;
2. ბორცვიანი ვაკე ჯაგრცხილნარით და ჯაგეკლიან სტეპური მცენარეულობით, წაბლა, შავმიწა და ტყის ყავისფერ ნიადაგებზე;
3. ნახევარუდაბნოს მშრალი სტეპური (ვაკეებზე, ზეგნებზე) ლანდშაფტი;
4. მთა ტყისა და მთა მდელოს ლანდშაფტი ტყის ყავისფერ ნიადაგებზე.

4. რისკები, ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

4.1. მგრძნობიარე ადგილები და საშიშროებები

საპროექტო ტერიტორიაზე თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისიწნებს მცენარეულ საფარზე ზემოქმდებას. აქვე აღსანიშნავია, რომ საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ნიადაგის და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები არ არსებობს.

4.2. დაცული ტერიტორიები

თევზსაშენის საპროექტო ტერიტორიასა და მისი გავლენის ზონაში (ოპერირების ეტაპზე) დაცული ტერიტორიები განთავსებული არ არის.

4.3. ისტორიულ-კულტურული ძეგლები

თევზსაშენის საპროექტო ტერიტორიასა და მისი გავლენის ზონაში (ოპერირების ეტაპზე) ისტორიულ-კულტურული ძეგლები განთავსებული არ არის. საწარმოო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შერსრულებისას არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლენის შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 10 მუხლის თანახმად შეწყდება სამუშაოები და ამის შეასხებ ეცნობება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. მათი წარმომადგენლის გარეშე არ მოხდება რიამე სამუშაოს გაგრძელება.

4.4 ხმაურის შეფასება

საქართველოს სანიტარული ნორმებით დადგენილი ხმაურის ნორმა დასახლებული პუნქტისთვის შეადგენს 55 დბ-ს დღის საათებში და 45 ბდ-ს ღამის საათებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ თევზსაშენში არ იგეგმება რაიმე მოწყობილობის ან ტექნიკის დადგმა, ხმაურის დონე არ გადააჭარბებს, კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

4.5. ვიზუალურ-ლანდშაფტური შეფასება

თევზსაშენით გამოწვეულ ზემოქმედებებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვიზუალურ ზემოქმედებას.

თუმცა, არსებული ტერიტორიაზე ნერგების დარგვა მოხდება გამწვანების მიზნით.

4.6. ნარჩენების მართვა

თევზსაშენის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი იქნება ინერტული ნარჩენები. განთავსება მოხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე, კანონის შესბამისი ნორმების დაცვით. ასევე, წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენიც, რომლის გატანას მაოხდენს ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურა.

4.7. ტრანსსასაზღვრო დაბინძურება

საქმიანობის სპეციფიკიდან, მასშტაბიდან და ადგილმდებაერობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.8 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
გარდაბანი	აღთაკლია		
81	06	26	664

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაშუშტებული ფართობი: 166349.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**81.06.26.661**;

მისამართი: მუნიციპალიტეტი გარდაბანი , სოფელი აღთაკლია

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019830096 , თარიღი 08/10/2019 16:29:35
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/10/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება N2019092368504 უ.უ. , დამოწმების თარიღი:08/10/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "სანიტარი", ID ნომერი:204927240

მესაკუთრე:
შპს "სანიტარი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური სარვეების აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომლებთა მსრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

4.9 ტბორის ტოპო-გეგმა